

გაგაგასიონი

23 995

The KAVKASIONI

© ყოველდღიური გაზეთი №169 (238)

№169 (238)

შანი 1000 რუბლის შ/კ ქააი600

განობილის საქმე



**დანაშაული
კაცობრიობის
წინაშე**

მასალაში
იხილეთ მ-4 მმ.

წყობები და მოვლენები

აღნიშნულ სინაგოგის იშბილა

21 სექტემბერს ქგორში აღნიშნულ ებრაელთა სალოცავის სინაგოგის 60 წლის იუბილე განახლებულ სინაგოგას ესტუმრნენ სოხნუთის წარმომადგენელი საქართველოში იაკობ ეფრემიშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისთან არსებული ქართულ-ებრაელური თეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გივი დამაშვიძე, ამერიკელ ებრაელთა საზოგადოება „ქოითის“ წარმომადგენელი, აგრეთვე, სტუმრები ონიდან და ქუთაისიდან ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით, ქგორში არსებულ ლუნაჩარსკის სახელობის ქუჩას ეწოდა იერუსალიმის სახელი.

მაგ დღეს, ქქარელში ჩავიდნენ საქენერგოს დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ზუბიტაშვილი და საქნავთობპროდუქტების თავმჯდომარე თამაზ შავდათუაშვილი. სტუმრები შეხვედნენ ადგილობრივი გაგეობის თავმჯდომარეს თემურ გოჩაშვილს. შეხვედრაზე ისაუბრეს ელექტროენერჯის მიწოდების პრობლემების შესახებ და იმ ღონისძიებებზე, რაც დაკავშირებულია მასთან დაკავშირებული ალსადგენი სამუშაოების ჩატარებასთან.

დაიტაცეს სილიკომანგანუმი

რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრის ცნობით, საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურამ სასამართლოში წარმართა სისხლის სამართლის საქმე სამი პირის: ცხოვრებოვას, შოუკაშვილის და დიასამიძის მიმართ. მათ ბრალად ედებათ რკინიგზის ნაგებობების განწარს დაწინაება, სილიკომანგანუმის ქვეების დატაცების მიზნით. რამაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა სარკინიგზო ტრანსპორტის მიმოსვლას.

არჩევნებთან დაკავშირებით

როგორც საგენტოს კორესპონდენტს აცნობეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის პრესცენტრიდან, დღესთვის ეღუარდ შევარდნაძის მხარდამჭერთა ხელმოწერების რაოდენობამ უკვე 100 ათას გადააჭარბა. პრეზიდენტობის კანდიდატა მხარდამჭერი ხელმოწერები გრძელდება.

სოციალისტები აქტიურობენ


დღეს სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებმა შურნალისტიებისთვის პრესკონფერენცია გამართეს. პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ თემურ გამცემლიძემ განაცხადა, რომ მათ მიერ შექმნილია ქართული სოციალისტების პროგრამა, როგორც სოციალისტები მიიჩნევენ რეფორმები აუცილებლად უნდა გატარდეს, მაგრამ მთავრობამ უნდა შეასრულოს თავის ვალდებულებები ამოპრჩევლის წინაშე. მათი აზრით, ეროვნული ვალუტის შემოღება ნაადრევია. სოციალისტები აქტიურად უპერენ მხარს გეგმიური ხუთწლიელების შემოღებას სახალხო მეურნეობაში.

03606ლა

საბრეზიდენტო არჩევნების წინ

სოსიოლოგიური გაყოკითხვა

17-21 სექტემბერს ჩატარდა თბილისის მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვა 22,23,35,37,51,62,67,93,95,98, 99 სატელეფონო სადგურების აბონენტთა შორის (სულ გამოკითხვა 250 აბონენტი). დასმული იყო ერთი შეკითხვა — ვის იხურებდით საქართველოს პრეზიდენტად? შედეგები დიდი მოულოდნელობით არ გამოირჩევა, საგულისხმოა, რომ მოსახლეობა მხოლოდ სამ კანდიდატს იცნობს და დანარჩენების ვინაობის შესახებ თითქმის არაფერი იცის:



სამინისტროების და უწყებების, ორბანიუაციის, დაწესებულებების, პარტიული და საზოგადოებრივი ორბანიუაციის ხელმძღვანელების საშუალებლობა

1995 წლის 25 სექტემბერს, 16 საათზე, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის საკონფერენციო დარბაზში მოეწეობა შეხვედრა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან ნოდარ ჯავახიშვილთან. შეხვედრაზე განიხილება ახალი ეროვნული ვალუტის შემოღების რესპუბლიკაში ფულადი მიმოქცევის გაწმსალებისა და საკრედიტო ურთიერთობის სრულყოფის აქტუალური საკითხები.

საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეთა მსურველებს შეუძლიათ დარკონ ტელეფონებზე — 83-59-07, 85-23-46.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სოციალური მართვისა და ინფორმაციის ცენტრი

საინფორმაციო სააგენტო „აჭარა“ გვატყობინებს:

19 სექტემბერს ბათუმს ეწვია აჭარაში განლაგებულ მესაზღვრეთა რაზმების ყოფილ მეთაურთა სამხედრო ხელმძღვანელების დიდი ჯგუფი. სასაზღვრო ჯარების ვეტერანთა კიზიტის პროგრამამ გუშინდამდე გასტანა. 21 სექტემბერს კი შედგა სემინარი თემაზე „სახელმწიფო საზღვრების დაცვა ახალ პირობებში“.

ბათუმის აეროპორტში სტუმრებს შეხვდა აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე.

როგორც რუსეთის ფედერაციის სასაზღვრო ჯარების ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარემ, გენერალ-ლეიტენანტმა გენადი ზგერსკიმ აღნიშნა, ბათუმმა თავი მოუყარა ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქისა და ხელაჩაურის მესაზღვრეთა რაზმების ყოფილ მეთაურებს, პოლიტგანყოფილებათა და შტაბების ყოფილ

ხელმძღვანელებს. ეს ის ოფიცრები არიან, რომელთაც საკუთარი კვალი დატოვეს აჭარის მცხოვრებთა გულებში, ვინც ერთგულად ემსახურებოდა თავის საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ამაჟამად მოსკოვში, სანქტ-პეტერბურგსა და დსთ სხვა ქალაქებში ცხოვრობენ.

ამ მოვლენის წინაპირობა კი ამგვარია: აწ. მარტის ბოლო კვირაში აჭარაში დსთ მესაზღვრეთა ესტაფეტა მიმდინარეობდა, რომელიც ფაშინშე გამარჯვების 50 წლისთავს მიეძღვნა. ესტაფეტის მიზანი იყო მეგობრობის, თანამშრომლობისა და დაკარგული კავშირების აღდგენა. აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ასლან აბაშიძეს მამის ჩაესახა იდეა, დსთ სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ვეტერანი მესაზღვრეები მოეწვია საქართველოში, სადაც ისინი ახალგაზრდობისას მსახურობდნენ.

განსსოვდეს აფსაფსითი!

მოგახსენებთ, საპარტოვო კონსტიტუცია მიღებულია. მოგახსენებთ პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის დღიდან მის რეალურ ამოქმედებას მრავალი ოპოზიციური სიტუაცია დაუპირისპირდება. ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატიული“ მათი დაქვემდებარების კონსტიტუციური წინადადებას განსხვავების სახით ჩამოაყალიბა, რომლის მოხდაც, პარლამენტის დღის წესრიგით, 19 სექტემბერს სსრკ-ში იქნება განხილული.

ირაკლი, სასანიო პაუზა კარგა ხანს გასტანს. დრო კი არ ითმენს, პარტიის მოგართავთ თხოვნით, თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნოთ წერილი განსხვავება, რათა დასავლეთ საბჭოთა კავშირის საზოგადოების, მათ შორის, პარლამენტის ხელმძღვანელების ყურადღება.

ოთარ მელქაძე
პარლამენტის წევრი

ფრაქცია «ეროვნულ-დემოკრატიული» განსხვავება

საქართველოს კონსტიტუციის ძალაში შესვლამდე ორიოდე თვეა დაჩაჩქარდა. ეს პერიოდი საარჩევნო ციებ-ციხეებით იქნება დამუხტული და ამის გამოც მისი სრულფასოვანი ამოქმედება მრავალ პრობლემასთან დაკავშირებულია.

რთული იქნება მომავალი საკონსტიტუციო რეფორმა. ჯერ — ერთი, არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური ფონის გამო. უდავოა, რომ ქვეყანაში დამკვიდრებული სამართლებრივი განუყოფლობა და სიდუხჭირე ნიპილიზმისა და უიმედობის სასტარტო პირობებს უქმნის მომავალ რეფორმას. და მეორეც, ჩვენში ფსევდადგილობრივი საბჭოთა კანონმდებლობისგან ნაანდერძევი სამართლებრივი ქაოსის გამო, რომელსაც ახალი საკონსტიტუციო ინსტიტუციური ელემენტები ემატება. ამით კიდევ უფრო მოჭარბდა ქართულ კონსტიტუციონალიზმში თეთრი ლაქების სივრცე, რომელთა მოგვარება ორგანული კანონმდებლობისა და ტრადიციული პრაქტიკის საგანი უნდა გახდეს.

პირველი — მიწინამართულ შრომატევად და კვალიფიციურ ოპერატიულ საქმიანობას მოითხოვს, მეორე — სიფრთხილესა და არანაკლებ პასუხისმგებლობას, ვინაიდან სახელმწიფო მმართველობის სისტემა ძირითად გარდაქმნას ექვემდებარება. ამიტომ დარჩენილი დრო მაქსიმალური ორგანიზებულობით უნდა გამოვიყენოთ. ეს იქნებოდა ჩვენი კეთილგანწყობის ესტაფეტა მომავალი პარლამენტისადმი.

ახლა მთავარი ის არის, რომ კანონმდებელმა ერთდროულად გაითვალისწინოს ხარისხისა და დროის ფაქტორი, რათა არც ერთმა პარამეტრმა არ ავნოს საკონსტიტუციო რეფორმის წარმართვას, რომლის საკანონმდებლო სივრცე კონსტიტუციური ბლანკეტური ნორმების სიმრავლითაა შემოწერილი. ამ მხრივ ჩვენ დეტალურად გავაანალიზეთ კონსტიტუცია, დავემუშავეთ მასში პირდაპირ მითითებულ კანონთან ნუსხა, რომელიც კონსტიტუციის მუხლებზე მინიშნებით თან ერთვის განცხადებას. რა თქმა უნდა, იგი სრულ კანონმდებლობით პროგრამას არ წარმოადგენს, მაგრამ პრიორიტეტული უნდა გახდეს რეფორმის საწყის ეტაპზე.

რეალობა ასეთია: კონსტიტუციაში დასახელებული 17 ორგანული კანონიდან 6 გარკვეულ გადაწყვეტებსა საჭიროებს კონსტიტუციურ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის თვალსაზრისით, 11 — ახალი კანონების პაკეტს შეადგენს. ხოლო კონსტიტუციაში მინიშ-

ნებული ჩვეულებრივ კანონთა 22 წყაროდან, 8 ახლად შესაქმნელი და 14 კონსტიტუციური ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანი კანონია. ამას გარდა, თავის რიგს ელოდება ორი კონსტიტუციური კანონი: „საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“.

ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა, მაგრამ არა იმდენად, რომ მომავალმა პარლამენტმა უფლებამოსილების ნახევარი შეაღწიოს, მით უმეტეს, ორგანიზებულობისა და მონდობის პირობებში.

საქმე ყველას ბევრი მოელოს. უმთავრესი ამოცანა მთელი ამ პროცესის მიზანმიმართული წარმართვაა. თავიდან უნდა იქნას აცილებული ჩვენი პარლამენტისთვის ჩვეული ქაოტურობა. კიდევ უფრო უნდა დამკვიდრდეს ბოლო ხანს შემსწრე თანამშრომლობისა და შეთანხმებულობის კურსი. საჭიროა, შევიქმნას საკონსტიტუციო რეფორმის მუშა ჯგუფი, რომელიც ერთიანობაში მოიაზრებდა ქვეყნის სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის მიზნებს, ამოცანებსა და გზებს, და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, კონსტიტუციის ამოქმედებისთვის აუცილებელი კანონთაყვანისცემისა და კანონიერების ფონის შექმნას ითავებდა.

საჭიროდ მიგვაჩნია, ჩვენს მიერ წარმოდგენილი ორგანული კანონების ჩამონათვალი დამისამართდეს — განისაზღვროს შემსრულებლები და ვადები, აქტიურად ჩაერთოს ამ საქმეში სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის აპარატის შესაბამისი სტრუქტურები, იუსტიციის სამინისტრო. ამ უკანასკნელმა მოამზადოს პარლამენტის დადგენილების პროექტი იმ ცალკეული აქტებისა და ნორმების მოქმედების შეჩერების თაობაზე, რომლებიც კონსტიტუციური ნორმებს ეწინააღმდეგება.

შესაბამისი საპარლამენტო კომისიებისადმი კონკრეტული დავალების სახით განაწილდეს რიგი ორგანული და ჩვეულებრივი კანონები, რომლებიც კონსტიტუციური ნორმებთან შედარება-შესაბამისობაში მოყვანას ექვემდებარება.

ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატიული“ გამოთქვამს მზადყოფნას, აქტიურად ჩაერთოს ამ პროცესში და შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობით, თავის თავზე აიღოს „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, „ადგილობრივი ორგანების შესახებ“, „საქართველოს რესპუბლიკის სახალხო დამცველის შესახებ“, „საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ და „საქართველოს პარლამენტის რეგ-

ლამენტის შესახებ“ კანონპროექტების მომზადება, კონსტიტუციური ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანის კანონი „კონსტიტუციის პალატის შესახებ“, ხელისუფლების დანაწილების ამერიკულ მოდელზე საქართველოს კონსტიტუციის ორიენტაცია მნიშვნელოვნად ცვლის პარლამენტის საქმიანობის პროგრამას, რომლის ერთი განსაკუთრებული თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იცვლება საბიუჯეტო ფილოსოფია და პრიციპების დონეზე პარლამენტის როლი ამ თვალსაზრისით. ამჟამად მოქმედი კანონი „საბიუჯეტო სისტემისა და უფლებების შესახებ“ საერთოდ აღზრდა კარგავს, ვინაიდან იცვლება სისტემა და მთელი უფლებები პარლამენტის ხელში გადადის. ეს კი ამერიკული კანონმდებლობით ტექნოლოგიზებული საბიუჯეტო მექანიზმის შესწავლის მიზნით მნიშვნელოვან მოსამზადებელ სამუშაოებს საჭიროებს. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ეკონომიკური კომისია აქტიურად ჩაერთო ამ პროცესში. ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მხარდაჭერით გათვალისწინებულია კონფერენციის ჩატარება. მიღებული გამოცდილება დაედება საფუძვლად ახალ კანონპროექტს „სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვისა და მიღების წესის შესახებ“.

ყოველივე აღნიშნული მომავალ პარლამენტს ორგანიზებულობის სასტარტო პირობებსაც შეუქმნიდა და ჩვენი წვლილი იმაშიც იქნებოდა, რომ მას გადაეცემოდა არა მხოლოდ საკანონმდებლო საქმიანობის პროგრამას, არამედ გარკვეულ მზა მასალასაც ცალკეული კანონპროექტების სახით.

და ბოლოს, ჩვენი აზრით, საქართველოს პარლამენტმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის მეცნიერ-იურისტთა ბაზაზე, გადაუდებლად უნდა შექმნას სარედაქციო კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ დაანაწილებს კონსტიტუციის თემატიკას ავტორთა ჯგუფზე, რათა უმოკლეს ვადებში გამოსაცემად მომზადდეს კონსტიტუციის კომენტარები. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რათა კონსტიტუციაში დაშვებული „თავისუფალი“ წაკითხვის საზღვრები ამთავითვე სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეს და პირველ ხანებში გარკვეულად შეეფოს კანონმდებლობითი და ნორმატიული მოქმედებითი ვაკუუმი.

საპარლამენტო ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატიული“

- ### დანართი
- #### კონსტიტუციური კანონები
1. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ (მუხლი 2, პ.3)
 2. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ (მუხლი 2, პ.4)
(მიღებულია ჩვეულებრივი კანონის სახით პირველი მოსმენით — უწყებები 136)
- #### ორგანული კანონები
- ა. მოსამზადებელია ახალი კანონები
1. საქართველოს პარლამენტის პალატების ფორმირებისა და არჩევის წესის შესახებ (მუხლი 4)
 2. საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოების შესახებ (მუხლი 11)
 3. საქართველოს წინააღმდეგ მიმართული განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შესახებ (მუხლი 15, პ.2)
 4. პოლიტიკურ გაერთიანებათა შესახებ (მუხლი 26, პ.2)
 5. საქართველოს რესპუბლიკის სახალხო დამცველის შესახებ (მუხლი 43, პ.3)
 6. საქართველოს ხელისუფლების შესახებ (მუხლი 83, პ.2)
 7. უზენაესი სასამართლოს შესახებ (მუხლი 90, პ.3)
 8. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ (მუხლი 83, პ.1)
 9. პროკურატურის ორგანოების შესახებ (მუხლი 91, პ.3)
 10. სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის, განხილვისა და მიღების წესის შესახებ (მუხლი 92, პ.2)
 11. ადგილობრივი არჩევნების შესახებ
- ბ. შესამზადებელია და კონსტიტუციური ნორმებთან შესაბამისობაში მოსამზადებელია ახალი კანონები
1. კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ (მუხლი 12, პ.3)
2. კანონი „საკუთრების უფლების შესახებ“ (მუხლი 21, პ.3)
3. კანონი „რეფერენდუმის შესახებ“ (მუხლი 74)
4. კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ“ (მუხლი 95)
5. კანონი „კონსტიტუციის პალატის შესახებ“ (მუხლი 97)
6. კანონი „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ (მუხლი 99, პ.2)

- #### ჩვეულებრივი კანონები
- ა. მოსამზადებელია ახალი კანონები
1. „განათლების შესახებ“ (მუხლი 35)
 2. „დღედათა და ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ“ (მუხლი 36, პ.3)
 3. „ანტიმონოპოლური კანონი“ (მუხლი 30, პ.2)
 4. „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ (მუხლი 30, პ.2)
 5. „წანმართელობის დაცვის შესახებ“ (მუხლი 37)
 6. „პარლამენტის რეგლამენტის შესახებ“ (მუხლი 49, პ.3)
 7. „პარლამენტის კომიტეტის შესახებ“ (მუხლი 56, პ.1)
 8. „მთავრობის ფორმირებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ (მუხლი 77, მუხლი 78, პ.1)
- ბ. შესამზადებელია და კონსტიტუციური ნორმებთან შესაბამისობაში მოსამზადებელია ახალი კანონები
1. საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო სასამართლოს კანონი“ (მუხლი 29, პ.1)
2. შრომის კანონთა კოდექსი (მუხლები 30, 32)
3. კანონი „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ (მუხლები 52, 53, 54)
4. კანონი „დროებითი კომისიების შესახებ“ (მუხლი 56)
5. კანონი „საპარლამენტო ფრაქციის შესახებ“ (მუხლი 57)
6. კანონი „საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის უფლებების შესახებ“ (მუხლი 98, პ.3)
7. კანონი „სამხედრო მდგომარეობის შესახებ“ (მუხლი 73, პ.1)
8. კანონი „განგებულ ვითარებაში შესახებ“ (მუხლი 73, პ.1)
9. კანონი „საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ“ (მუხლი 100, პ.2)
10. კანონი „უცხოელთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ (მუხლი 47, პ.2)
11. კანონი „საქართველოს რესპუბლიკაში უცხოელთა დროებითი შემოსვლის, ყოფნისა და გასვლის შესახებ“ (მუხლი 47, პ.2)
12. კანონი „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ (მუხლი 6, პ.2)
13. კანონი „საქართველოს მოქალაქეების საქართველოს რესპუბლიკიდან დროებითი გასვლის და საქართველოს რესპუბლიკაში შემოსვლის წესების შესახებ“ (მუხლი 13)
14. კანონი „მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანების შესახებ“ (მუხლი 26, პ.1)

პრივატიზაცია საქართველოს მოსახლეობის ნაკლებად სანიღარი

№6 სპეციალიზირებული საბარათო აუქციონის შედეგები

შენიშვნა: ბაზარზე გაყიდული ბანკისა და საკრედიტო დაწესებულების საბარათო აუქციონის შედეგები
 ქვემოთ მოცემული ბანკისა და საკრედიტო დაწესებულების საბარათო აუქციონის შედეგები



საწარმოს დასახელება	განაცხ. რეგისტრ. №	აუქციონის №	გაიყიდა აქცია (ცალი)
„სამთავრობო“	8	01	90
„დერბა“	1	01	264
	2	01	44
	3	01	44
	4	01	220
	5	01	220
	6	01	132
	7	01	19 712
	9	01	132
	10	01	24 288
	12	01	88
	13	01	88
	14	01	44
	16	01	220
	19	01	44
	26	01	220
	29	01	44
	30	01	44
	31	01	132
	32	01	36 828
	36	01	44
	37	01	22 000
	38	01	88
	39	01	44
	40	01	44
	41	01	44
	42	01	5 940
	1	03	44
	2	06	88
	2	08	44 000
	2	10	440
	5	10	32 560
	2	35	132
„მუხნარი“	1	58	90
„ხაშურის მინის ტარა“	27	01	281 106
	33	01	69
	35	01	46
	43	01	46
	44	01	170 200
	46	01	3 680
	6	08	5 290
	7	08	92
	5	09	41 653
	3	10	230
	17	39	46
	18	39	138
	19	39	184
	20	39	230
	21	39	46
	22	39	115
	23	39	23
	24	39	69
	25	39	230
	26	39	138
	27	39	46
	28	39	46
	29	39	115
	30	39	115
	31	39	23
	32	39	23
	33	39	115
	34	39	115
	35	39	46
	36	39	713
	37	39	92
	38	39	184
	39	39	138
	40	39	23
	41	39	92
	42	39	230

საწარმოს დასახელება	განაცხ. რეგისტრ. №	აუქციონის №	გაიყიდა აქცია (ცალი)
	43	39	230
	44	39	598
	45	39	23
	46	39	23
	47	39	138
	48	39	138
	49	39	874
	50	39	46
	51	39	46
	52	39	1 104
	53	39	598
	54	39	115
	55	39	23
	56	39	23
	57	39	4 278
	58	39	2 760
	59	39	69
	60	39	69
	61	39	92
	61	39	92
„ხაშურის მინის ტარა“	62	39	46
	63	39	23
	64	39	92
	65	39	92
	66	39	69
	67	39	92
	68	39	46
	69	39	115
	70	39	92
	71	39	115
	72	39	23
	73	39	69
	74	39	115
	75	39	161
	76	39	230
	77	39	184
	78	39	115
	79	39	115
	80	39	138
	81	39	115
	82	39	92
	83	39	1 725
	84	39	92
	85	39	115
	86	39	138
	87	39	92
	88	39	46
	89	39	115
	90	39	46
	91	39	69
	92	39	46
	93	39	69
	94	39	23
	95	39	92
	96	39	115
	97	39	92
	98	39	230
	99	39	23
	100	39	23
	101	39	92
	102	39	414
	103	39	46
	104	39	46
	105	39	46
	106	39	69
	107	39	23
	108	39	920
	109	39	115
	110	39	46
	111	39	115

საწარმოს დასახელება	განაცხ. რეგისტრ. №	აუქციონის №	გაიყიდა აქცია (ცალი)
	112	39	69
	113	39	23
	114	39	138
	115	39	23
	116	39	138
„ხაშურის მინის ტარა“	117	39	138
	118	39	575
	119	39	138
	120	39	69
	121	39	23
	122	39	414
	123	39	69
	124	39	92
	125	39	23
	126	39	69
	127	39	23
	128	39	46
	129	39	46
	130	39	46
	131	39	115
	132	39	69
	133	39	115
	134	39	46
	135	39	46
	136	39	115
	137	39	230
	138	39	92
	139	39	46
	140	39	92
	141	39	92
	142	39	161
	143	39	2 300
	1	66	23
„მუხნარი“	45	01	18 900
	6	03	5 670
„ლითონბრუნვი“	1	10	630
„იზაბელა“	2	03	45
	1	59	90
„კრემლბრუნვი“	4	03	147 620
„კაზი“	17	01	2 475
	18	01	4 770
	20	01	450
	21	01	405
	22	01	2 925
	23	01	2 475
	28	01	45
„კოლხეთი“	1	62	90
	2	62	135
	3	62	990
	4	62	90
„კახეთი“	24	01	225
	4	10	91 125
	6	10	69 300
	7	22	4 500
„ატენი“	25	01	176
	3	08	14 696
	4	08	14 696
	5	08	14 696
„ავტობრუნვი“	2	58	13 815
„ბორჯომის ტყის ბაზარი“	5	03	11 070
	2	19	41 000
	1	45	41
„ალაზანი“	1	05	9
„თბილისის ტყის საწარმო“	34	01	9
	3	07	9
	1	08	9
	8	08	9
„მუხნარი“	1	19	9

პოეზია. უბირველეს ყოვლისა!

გიორგი ნიშნიანიძის, როგორც ინგლისურ-რენოვანი პოეზიის ბრწყინვალე მთარგმნელს, ისე იცნობს „მკითხველი“ საქართველო. ნაცნობ-მეგობრები ეჭვობენ, ზოგიერთმა გაკვირით იცის კიდევც რომ იგი მშვენიერი, მართლაც ორიგინალური პოეტი გახლავთ. „კავკასიონი“ დიდ პატივად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ გიორგი ნიშნიანიძის ლექსები პირველად მის ფურცლებზე ქვეყნდება.

წლებიანი მანძილზე ვერსიუნიკატორული ფორმით მინი-შნავდი მსოფლიო და მსოფლიო ჩამოშლის სანიტარისო მომენტებს და განწყობილებებს; ამდენად, ისინი უფრო ნახევარ-სახეებს წარმოადგენენ.

ციკლად შევკარი ის კუპლეტები, რომლებიც ერთ-ერთად მიწასადაგება დღევანდელ საერთო განწყობას.

ავტორი

ნახევარლექსები

(ციკლიდან „მზი“)

მე ჩემთვის ზედა სართულში ვცხოვრობ, (არ ვუნახივარ ქვეყნად არავის) — და თვალს მჭრის დაბლით სერული და სორო, კუთხე-კუნჭული და სამალავი...

ის

დღეს გვერდში უნდა მდგომოდა ისიც! — მაგრამ რაკილა სულ ერთხელ დაუთმე ბრძოლა და აღარ გავიღე სისხლი, პირდაპირ ვისმენ ახლა მის სათქმელს: ამ ჩემს იხედაც ნაკვეთ და ნათრევ გულში ისრები მესობა რისხვის...

გამითენდება და ეცხოვრობ, დამილამდება და ეკედები — არაფრად მაგდება უკვე ჩემი ღვთაებრივი დები...

ქრება სანთელი... მარადისი დადგება უქმე, როცა წყვილიანი უკანასკნელ ციაგსაც ნაშლის და კაცთა იმის დაინწყება დაინწყეს უკვე, რაც დაინვა და ეხლა მალლა ანთია ცაში... მე გავიქეცი როცა არავინ არ ელღა გაქცევას ჩემსას, მე გავიქეცი! (შევატოვე ჩემს მცველებს სელში თნევა, ქვეული ჩემი მძიმე ცხოვრების წესად, უქმად მზრუნველი გული ჩემი... სისხლი და ლეში...).

ციხიდან ვუმზერ სხვა ციხის სარკმელს, ვუსმენ საკნიდან მეზობულ საენებს — უკვე სამოცი წელია თითქმის, რაც ჩემი სულის ირკვევა საქმე.

ის მთლად გიმეტებს და განადგურებს — შენ ეს იცი და მაინც მიყვები, თუმც სულ ფხის იორე, მაგრამ გულს გიკლავს განვლილის ცრუ და ფოტრო ციხეშიც და კვლავ მას მისდევ: სიარულისას ლანდი-რამ კიდევ რჩება სიშხნევის... და ისეთ მსუბუქ ხიდს გადადისარ, რომ, თუ არსებობს, ვერც კი მისხდება.

ამ ქვეყანაზე ერთადერთი ჩვენ ვართ ცოლონი — ჩვენ, დაღწილინი ვით გომორა და ვით სოლონი, ჩვენ სულ წუთი-წუთ, სულ ნამი-ნამ მოიხედენი,

ჩვენ, ვისაც გულის ჩამოგვექცა დედო-კედელი, ჩვენ, ვისაც ტვინის ჩამოგვეწვრა სეფე-გოდოლი — დღეს მართოდენ ლოდინია ჩვენი ედემი, შეგვაქცნა სულიც, უცვარნამოდ ვითარ ფოთოლი, ამოიშავრა ჯოჯოხეთიც ჩვენი ვედრებით...

... ბოლოს, როცა თავი მომჭრეს, ძლივს დამდინდა სისხლის წვეთი, სორცი იყო უზომოდ მჭლე, სხმარტალებდა ძარღვი ცვტი, თქვეს: სიკვდილი რად უნდოდა, ჭირი სჭირდა უფრო მეტი...

ჩემიანებმა იციან, რომ მე დაევიარე... დღემდე მეძებენ, გადინურონ ლამის იმედიც, მე სათითაოდ ყველას ვხედავ და ხმას არ ვიღებ, მოკლული მტრობით, უბედობით და სიძიმეით...

ოხუნჯობენ... საუბრობენ... სიტყვის ჩართვას ვცდილობ მეცა: ქორნილია — მასალებენ ცოლად მთელი ქვეყნის მეძახს.

გულგრილობა უკვირთ ჩემი და ლოდინი უფრო მეტად. — ღმერთო, ღმერთო, ჩემნაირი კიდევ ვინმე თუა ნეტავ: ერთხელ მაინც მოეკრა თვალი, გაუღიმიო სანჯალს ბედად — მე იმაზე თამაში ვარ, ის ამდენსაც ვერ გაბედავს...

ჩვენ სიკვდილისთვის ვემზადებოდით, დღეს ნათელს ვთმობდით მშვიდი თვალებით და წუთისოფლის ყველა დაკლავნილ თბილ და აუბედით გზას ვამთავრებდით. ჩვენი შემყურე კაცნი თუ ქალნი ათას ურთულეს კითხვას გვაყრიდნენ, მაგრამ ჩვენ ვდუმდით სიმათლის ძალით და ეშორდებოდით მათ სიმათლითვე...

აუად ვარ, მაგრამ არა თუ კაცს, არ ვუმხელ ღმერთსაც, მაგრამ მერე კი — ამა ქვეყნად ფუ მალლა ზეცად — როცა დაძღება და დატკება ყველა უკლებლად, ჩემს წილ წუნუნს და კანონიერ გაზულუქებას, რაც მე დამაკლდა, ვით ავადმყოფს, მოვეყვები მეცა!

ეპ, ჩემი სულის ერთი ნაწილი, (ანუ იგივე მე, ოლონდ ყმანვილი), დღეს, თითქმის მლეულს და უნუგემოს, აქეთ მასწავლის ტკუას კაცივით: მე ჯერ ის მწარე ფაქტი მანუხებს, მას, ასე შემკულს, როდის დავცილდი, მერე ამ ტუტუტს და უკარებას რატომ ვკონივარ მთლად ვასანირი?!

შენ ხარ მეორე ოთახში და განგებ არ გამოდისარ. გადის უსახო თვეები, მოგვეკლა ამდენმა ლოდინმა...

შხამი... შხამი... მაგრამ ზოგჯერ თაფლიც გვრგებს ნამალივით: ლეთით, გოლგოთას გზაზე გვხვდება ბალი გეთსიმიანის! — გინხრიალებს სულს არილი, ვარდები მიგინიდავს, ყველაფერი ლამაზად ჩანს ბალის თხელი ნისლიდან. ბებერ სისხლში გენურება ზეცის ულტრამარინი და ნუპაკი მასპინძელი ნებიერობ სტუმარივით —

გოლგოთამდე უნდა იყოს ბალიც გეთსიმიანის, გოლგოთამდე უნდა იყოს ბალიც გეთსიმიანის!

გპირულად მოვეკვი მე შენთან ომში, მაგრამ უჩემოდ რაკი ცხოვრება მაინც გრძელდება, დღეს მხოლოდ გროში ღირს ჩემი თავი და მეცოდება.

ჩემო ბედნიერება, „მორთმეული ლანგარზე“, თითს ვერ გახვებ ზემოდან ნაფარებულ ატლასზე — გარეთ გამოიჭრება ზოგჯერ რალაც სურნელი, თითქოს გამომაფხიზლებს შვება განუკურნელის, თითქოს თეთრი ვარდების კრთის ჭრატუნა ფურცლები და ლაყვარდში მტრედების სისხეცაკე გულწრფელი. გულს ცვილივით მადნება ულმობლობის ეკალი, სულ რომ იმას ცდილობდა, უშენოდ მოვეკალი. მე ერთს მერე ნანატრი და უებრო წყალობა, ვინც შენს გამო უღუთოდ და უნუგემოდ წვალობდა...

ციდან შინაზე ხელუკულმა გადმონასროლმა აქამდე მხოლოდ რამდენიმე წუთი ვიცხოვრე... სხვა ყოველივე იყო ლოდინი, ანუ სივინროვე, დანარჩენი კი — თამაში ანუ უაზრობა. ყოველდღე ვუმზერ ჩემი თავის უწყალოდ მსხვერვეს, საკუთარ ციხის რუინებში შემოჭრილ სივრცეებს, ეს ნახევარგაკვი და ნახევარღრუბელიც მე ვარ და გზას დაკარგულ მრთელზე ქმუნვა-ღარდით ვიგრძელებ.

მკურნაე მალამოდ მოიქცა შხამი, გამოტკება ჭირი, გაბრიყვდა რისხვა, გულს ჩაფხევილი სიბერე უყვავის, სიცოცხლის ნაყოფს სიკვდილი იხსამს.

ზოგჯერ ომში მიდის ღმერთიც: უცებ ენას იღვამს ქვები. უკურნელი ავადმყოფის ურვით დნება სიტკბო სოფლის. ქერი-ობოლთა მწუნხარება შლის სიღარჩის აბლაბუდებს. ჩვილი ყრმების ყიფლიბანდზე დნება ასპიტების სიბრძნე... ... გამარჯვების დილას მარხვით ათენებენ ქალწულები...

... უქმდება ყველა აზრი და საქმე, შემოდის რინდი — დილა მზებნელი; (ცოდვის შვილები სიცოცხლის წუთებს კვლავ იხეჭავენ ვიჟ მტაცებლები). აი, ისინიც — სახელდასჯელოდ განდიდებულნი და ნოდებულნი: საბედისწერო დღისთვის სიყრმითვე ღმერთთან საომრად შეგულებულნი. დღეს არვინ იცის, რას ნიშნავს მათი მწყობრი აზრი თუ სიცილ-ტყარცალი, რა მტრობას იტყვს მათი გულ-ღვიძლი, რა მიზანს ჩემალავს მათი თვალ-ნარბი,

მე მოსოვართა შემდეგ ვზივარ — ბოლოშია ჩემი ჯერი: ვართ სულ მცდელი, სულ ფხიზელი, ენაზე და სიტყვაზე ვერძი. ავი კაცი სხვებს რომც ვასცდეს, მე გვერდს მაინც ვერ ამივლის — სად წაუვა არმყოფობას და უთქმელი სიტყვის ლივლივს!

(დასარული დასაწყისი იხ. „კავკასიონი“ №№ 148, 154, 159, 164)

ადრე უკვე დავიხსენებ ერთი ნაწევრი ჩვენი უძველესი მითოლოგიური პოემისა, უამთა სიავის გამო, ყამარის კოშკში დაღწეული თევზების ნამსხვრევებით რომ შემოგვჩაჩა. მაშინ არ მითქვამს — ამირანმა, სანამ სიტყვას გადაუდგებდა, გაეძრა-ხებოდა, ის „დევის ქალი“ ძაფის სართავ დაბზრიალებულ ჭარასთან ხელსაქმში გართული ნახა. იმ სურათის ძალა და დიდებულება რომ ვიგრძნოთ, საუკუნეთა მიღმა გამოჩარხული სტრიქონების გრავინვა რომ ვისმინოთ, კიდევ ერთი მცირე „ნამსხვრევი“ უნდა გავმოვატალკევოთ:

თბორს სძახდა დევეების დედა,
ჭარა ხვიშტაკი ხვიდა...
განუშორებელი სართავ-საქსოვი, მომწუსხველი მწერა,
„დევეების დედა“... — სხვა მეტი რაღა მსგავსებაა საქმბარი...
„მინც გამოვალ, მინცა...“ მინც ვერ ისვენებს მბორგავი, აფორიაქებული გონება...
შაოანნი გულქანის სახეს მიჩერებულმა, ერთი გაფიქრება ეკეტ გავიფიქრე: ლეგენდარულ ლიდიელ მქსოველს — არაქნეს სიბერე რომ დასცლოდა, ზედმეტად გათამამებული, ზევსის ასულს, ათონას, ქარგვაში რომ არ გაჯიბრებოდა და გარისხებულ ქალღმერთს, მედიტორობის გამო, იგი თბობად რომ არ ექცია, ალბათ ასეთი გარეგნობა და გამოხედვა ექნებოდა-მეთქი. გულქანსაც იმ ჭადოქარულით ადრე დაიღუპა (დედა, ისე არაქნესავით ამაყი იყო და მისებრ ცერად იცოდა ვახედვა (ეს იმ სურათზეც ჩანს), მასავით ემარჯებოდა ქსოვით ამით ხომ თვით იმამისს, ვაჟა უშველას ადრედა თავს.
იმაზე დიდი სიხარული, ეტყობა, აღარც განუცდია, როცა ერთდღე მამის წინდები მოუქსოვა და იმანაც, როცა ჩაიხიდა, შეუქო ნახელავი: ნიჭი უნდა, ნიჭით ყველაფერსაო.

ორ-ორ რიგად სხვადასხვა ფერის ყვავილები დაუყვებოდა თურმე იმ წინდების თითოეულ ყელს... „მწვანე-წითლიანები, ლურჯ-შავიანები იყო ჩემი დაქსოვილი მამის წინდები...“ — იგონებს თითქმის საუკუნეს მიტანებული, წამით გახალისებული. სხენებულ სურათზეც, ალბათ, მამამისს დასტრიალებს მისი ფიქრი — ვისთვისღა გამოიყვანოს ყვავილებიანი საკვლეველა, ვისღა მოუქსოვოს ნაჭრელაებით გაწყობილი, დაგვირისტებული წინდები.
გუშინდელივით ასოვს — ერთ ზაფხულს, მამამისთან ერთად მარხილით ძნას ეზიდებოდა, ხარებს უძღვებოდა. მინიშნებულიც აქვს, ტანად რამოდენაც იყო: „უღელს ვეჭარბე თავითა, ცოტაადა“.
ყველაფერზე ეტყობოდა გულქანს, მამის ჩამონათალი რომ იყო. აქ ეთერ თათარაიძის ერთი სტრიქონი მისხენდება —

სხენება მოუნდებოდა გულქანს, სწუხება, რომ ვიდაცეებმა დაპარეს ის სურათები, არ შეარჩინეს:
„მამენატრება ჩემი სიჭილის ნახვა. აღარ მ ა ტ ი ა ლ ი ა ერთი სურათიცა. გან კი არ ექნება ვისა, მაგრამ არ აჩენენ“.
დარდად ჩაპყვა ის გაფანტული სურათები. ნეტა იმათაც აღმოაჩენდეს ვინმე.
მამამისის სურათებიდან ერთს გამოარჩევს, ერთს ამჯობინებს დანარჩენებს, მიგახვედრებს, რომელზედაც ლაპარაკობს:
„ქული ხელში უჭერია, ხანჯარი არტყია და ცერად უდგა ფეხები... ის სურათი მამწონ მამისა, ის სურათია ნამდვილი მამაი“.
ნაგულისხმევი ფოტო, რომელზედაც გაქალაჩავებული, თავშიშველი ვაჟა მთელი ტანითა აღბეჭდილი,

ჩვენს ბლუზიან, სიცოცხლით სავსე აფივივიებულ ჯგუფს შემოგვიერთდა მოკლე, ამტვერებულ ჩოხაში, წინდა-პაქივებში და ჩუსტებში გამოწყობილი ჯირკვა-ტანიანი, განიერშხარბეკიანი, ყვითელ თვალებრი-ალა, შევწარბაწეულ-აშმუშნული, დიდხელებიანი „ვაჟა“. მის ურჩ და აწეწილ ქოჩორს ამშვენებდა ზედ კეფაზე მიმ-

დით, ნიჭით, ხელოვნებით გადაჯაჭვულ მამა-შვილს, ვიდრე ვაჟა და გულქანი იყო. არანაირ ძალას არ შეეძლო მათი სამუდამო გათიშვა და ახლა ისევე ერთად არიან. აქ კი, მამაპაპეულ კერასთან განმარტობული ზის „დევის ქალი“ და განუყრელ თითისტარს აბზრიალებს.

იმარცვლება გაბმული ფიქრი, ნელ-ნელა, შეუმჩნევლად იკვრება თავი და ბოლო. მახსენდება ოდესღაც წაკითხული ხელსაქმეს, სართავ-საქსოვს დაუფლებული ქალი დროს იმორჩილებს, ოჯახში სიმშვიდეს, მყუდროებას ამყარებსა.
არ შეეძლება ეს უღრმესი დაკვირვება არ ირწმუნო, როცა, მაგალითად, დევით კაკაბაძის სურათს — „მწერეთი — დედაჩემი“ — აკვირდები. ამ ტილოს მთლიანად სიმშვიდე და პარმონია მსკვალავს — მონდგრის ყვავილებითა და პეპლებით მოჩითულ ეზოში, ხის გადანაქერზე ჩამომჯდარი სახედალარული მანდილო-სანი, დაძარღვულ ხელებში ყოისნადები რომ უჭირავს და ქსოვს, ნანატრი სიწყინარის, უშფოთველობის განწყობილებას ქმნის, იჭაურობას სხვანაირ სიკეთესა და შეუქს პევენს.
ასე დამაშვრალმა და მოფუსტუსემ გაღია თავისი გაუხარელი ცხოვრება გულქან რაზიკაშვილმა. ოლონდ გიჭირს დაჭერება — ნუთუ ეს თამადასული



წინაპრები
მეზარ კვიტაიშვილი
ჩაიცომა ჩი მოვკი ნჯიპადა

„კლდეს მომწყდარ, კრილობიან ქვაო...“; „იმ შემოქმედის, მალაღის ღვთის“ ხელმა ერთი ცომისგანდ მოზილა ისინი, ერთ გუნდად შეკრა. პატარაობიდანვე ტყუილად როდი ადარებდნენ მამამისს — „მავასავით დევიანი ხარო“. ერთნაირად ემდურებოდნენ წუთისოფელს. ნატვრაშიაც ერთნი იყვნენ. ამიტომაც მოხვდა ვაჟას გულზე პატარა გულქანის ნათქვამი შაირი, სთხოვდა, ქვებზე დაწერე ეგ ლექსები და მოიტანეო.
ხანდახან თავისი ყმაწვილქალობისდროინდელი სახის გა-

სოლომონ ყუბანეიშვილის ბიოგრაფიულ-დოკუმენტური წიგნიდან მახსოვს და კარგი იქნება, გულქანის „ნაამბობის“ ახალ გამოცემას მის მიერვე მოწონებულ ამ სურათს თუ დაურთავენ, დაშვენდება.
ისევე იმ ნაბდისქუდიან, სახეგადანათებულ ქაბუქს მივეტრიალდი და ვეყურებდი. არსებობს სემინარიის ერთი მასწავლებლის სუდაკოვის მოგონება — სექტემბრის დილას როგორ შეიყვანა პავლე რაზიკაშვილმა თავისი ვაჟი გორის სემინარიის ეზოში:

დარი თუშორ-კახური პაწია მრგვალი ნაბდის ქული“.
ამ სურათის გადაღებისას, როგორც ჩანს, ვაჟას სემინარისტებისთვის სავალდებულო ფორმა ბლუზა — კი ჩააცვებს, მაგრამ კეფაზე დაკოსებულ თავის ნაბდის ქულს ვერ შელევია.
ამ ორ ფოტოს შუა გაგიჭირდება საერთო ძაფის გაბმა. ვერაფრით ვერ იტყვი, რომ ეს პირტიტველა ბიჭი მამა ამ საცოდავად მოკაცული დედაბრისა. არადა, ძნელად თუ წარმოიდგენ იმაზე უფრო შეკავშირებულ, ერთმანეთზე ბე-

დედაბერი ერთ დროს ის ათი წლის მკვირცხლი გოგონა იყო, ვისაც სამწყემსურში ღვართქვამა მოუსწრო და მარტო დარჩენილმა, თავის სიობლე-სიბეზავეზე დაფიქრებულმა, საკვირველი ლექსი ამოუქვა. ეგებ იგრძნო ბავშვობაგამწარებულმა, გულდათუთქულმა — რაშენი შავი დღე და განსაცდელი ელოდა ამ ცრუ, გაუტანელ სოფელში; ეგებ მართალიც იყო, უფალს ადამიანად დაბადებ რომ უსაყვედურა და ღრუბლებში ატანილ ნამად გაჩენა ინატრა.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

ჩვენთან დარჩენილი კაცო

ერთი ერთობ სევდიანი ამბავი მაგონდება. ხშირად გვითქვამს უკვე მინაწერილი და გვირგვინებით შემალღებული საფლავისთვის ზურგშექცევის ეამს: ებ, ასე ერთად მოვალთ აქ, ჩვენს მარადიულ საუფლოსთან, და ბოლოს... უჩემოდ დაბრუნდებითო შინ. ამით გამოვხატავდით გამოთხოვების უმძიმეს სატკივარს.
ასე მოვიქცეთ შენი მეგობრების — დავით დუნდუას, ზურაბ ფორჩხიძის... სხვათა და სხვათა უკანასკნელ გზაზე გაცილების დროს. ასევე მოგვექცეთ შენც — ოთარ ჯიშკარიანს.
განმარტობებით დაგტოვეთ საბურთალოს ახალი პანთეონის ფერდობზე და შინ დაებრუნდით იმ გრილ, მაგრამ მშობი განათებულ დღეს.
თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს შენს ჩვენგან გარიყვასა და დაგინცებას. ჩვენ ხომ განძად დაგვიტოვე შესანიშნავი გრაფიკული, ფერწერული, მოზაიკური ნამუშევრები, შენი „ქებათა ქება ნიკორნშინდას“ და „ანბანთქება“.
პირდადალ მე კი ძვირფას რელიკვიად დამრჩა 1977 წელს „ხელოვნებაში“ (სადაც ჩვენ ერთად ვმუშაობდით) გამოცემული შენი ფერადი ალბომი, რომელსაც ხშირად ფეფურცლავ და ეტკებები შენი „თივის ზინები“, „სეანეთით“, „შემოდგომით“, „ქარიით“, შეუღლისა და ქალიშვილების პორტრეტებით, „სწულებით“, „მონადირენით“, „იმერეთით“...
რაც მთავარია ჩემთვის, ალბომის სატიტულო გვერდს ნიფელ დამალად აზის ცერად მიდრეკილი შენი ხელრთვა და ორსიტყვიანი მიძღვნილი წარწერა — ძმური სიყვარულით. მეც ძმური სიყვარულით გესალმები ჩვენს შორის დარჩენილ ნე წლის ოთარ ჯიშკარიანს!

ბიჭო ბოჯბუა

ტარიელ ხავთასი
თურბე როდესაც კვდება მხატვარი...
მხატვარი...
ოთარ ჯიშკარიანს

გადამსხვრეული აგლია ფუნჯი, სხვა ქარები ქრის, დგება სხვა დარი და ფერიც უცებ შავდება ლურჯი, თურმე, როდესაც კვდება მხატვარი. ისმის წკრილი კამერტონების და სადღაც ეღვა კლდის ქიშკე კვავას. ამღერებული გამა ტონების უცებ იცვლება ტკივილად, კვენსად. მოღებტზე დნება გუაში, ზეთი და იფერფლება სულის დადარი, ფერტილოს წყდება ცრემლების წვეთი, თურმე, როდესაც კვდება მხატვარი.

მიმოჭენობენ შლეგი მერნები, ვერ იოკებენ აწვეტილ აზრტს, შეჭიდებიან ერთუროს ფერები და პალიტრაზე კვდებიან ნაზად. ო, ასე ტყდება მოღლილი სულიც და ეთხოვება საუფლოს მუზის. იქ, ანგელოზთა კრებული სრული მშვიდად მძინარეს სასთუმალს უზის...
სხვა ქარები ქრის, დგება სხვა დარი, თურმე, როდესაც კვდება მხატვარი.

ასე მოხსენიებენ ზენე სალკუნის ორ-მოცდათიან წლებს, რადგან ისტორიის გარდაცვალების შემდეგ გაჩნდა იმის იმედი, რომ შინა და უნდობლობის ხანა დასრულდა...

ცნობილი სისხლიანი აქცია. თეატრში ამ მოვლენათა ასახვა. ცხადია, გამოიცხადებოდა ბრძოლა, რომელიც ორმოციანი წლების დასასრულს დაიწყო...

რა, კეთილშობილი ადამიანებისადმი. დამორჩევულ ყოფაში მცხოვრებ თავის მკურნალებს ქართული თეატრი უცოცხლებს...

თა და სიძულვილით. პირიქით, ურთიერთ-თანაგრძობითა და სიყვარულით იყვნენ გაერთიანებული...

O TEMPORA, O MORES! 23 სექტემბერი 1869 — მენდელეევის მიერ ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემის აღმოჩენა.

სახლი სთავაზო უნივერსიტეტის ხანა საუბარი მეთვრამეტე

ყველაფერი, რაც რუსეთში ხდებოდა, ცხადია, საქართველოში თავისებურად შეორდებოდა მართალია, აქ თეატრის კრიტიკოსთა ანტიპათიური მკურნალობა...

ნულიკობის თეორიამ, ნებადართულმა ბრძოლამ კარგა და უმჯობესი შორის, რომლის პროპაგანდასაც ეწეოდნენ ხელისუფლების ერთგული თეორეტიკოსები...

ნია, ემანჯაღაძის ესპანელი მღვდელი და მასწავლებელი ბეჟუკი კანარაძის იულიუს ფონი, გატყვევებული ჯარისკაცი და სხვები...

არამედ უმაღლეს სასწავლებელში ათვისებული სექტაკლის შექმნის კანონების ცოდნა...

1870 — 125 წლის წინ გარდაიცვალა პროსპერ მერიმე, ფრანგი მწერალი. 1930 — 65 წლის წინ დაიბადა მხატვარი ოთარ ქოლოკია.



24 სექტემბერი 1835 — 160 წლის წინ პარიზის მახლობლად, 34 წლის ასაკში გარდაიცვალა ვინჩენცო ბელინი, იტალიელი კომპოზიტორი...

25 სექტემბერი 1907 — ქუთაისის ციხიდან გაიქცა 27 პატიმარი. ცნობილი ნაროდნიკმა რევოლუციონერმა, შემდეგში კეთილშობილმა მანგანუმის მრეწველობის მინისტრმა გიორგი ზდანოვიჩ-მაიაშვილმა შეიძინა სახლი...

მხატვრობა როდემდე იხითხითებს სალიმერი? ამბობენ, უოველი შემოქმედით თავისი სალიმერი ჰეგელი. დიდს დიდი, მატარას — მატარას...

ნიკის ბრწყინვალეობა და ვასოცარი შრომისმოყვარეობითა — წერს ნოდარ ჯანბერიძე „ქვემოთ უმჯობესი რწმუნებული უფრო მამოყვანებელი მხატვარი იყო“...

ორიგანობა მოინდომე? ვინა ვგონია შენი თავი? ოთხი წელი ძალს რენო იყო, ძალს — ის ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ეს ბრძოლა...

სადაც სულაც არ ვხსნილავენ? — ამბობს პასკალი. რა თქმა უნდა, რენომ ეს ჩინებულად იცის...

1914 — ხანძარი თბილისში. დაიწვა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მარჯვენა, მის პირდაპირ მდებარე ქართული თეატრი და ნაწილობრივ სხვა ნაგებობები ქარაგისლის კომპლექსში.

სპანდალი ჩემპიონთა ლიგაში

უფასო ოფიციალური სრობა

13 სექტემბერს კიევის დინამოელებმა ვერობის ჩემპიონთა ლიგის პირველ მატჩში 96 ათასი მაყურებლის მხარდაჭერით 1:0 მოუგეს საბერძნეთის ჩემპიონს „პანათინაიკოსს“.



შალვა ძორიძე

ახალი სრობა კიევის «დინამოს» შესახებ

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ესპანელმა მსაჯმა ანტონიო ლოპეს ნიეტომ ცილი დასწამა კიევის „დინამოს“.

სტუმართმოყვარე მასპინძლებმა ანტონიოს ქურტიც მოუტანეს და ჩეკი მიუღოდეს, მაგრამ ესპანელის გული ვერ მოიგეს.

საპუტარი ინფორმაცია



«დინამო» კვლავ მოიგო

ხუთშაბათს გაიმართა საქართველოს VII ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები.

ძელთა კარში მეორე გოლი გაიტანა. საერთოდ კი, თბილისელთა უპირატესობა ორ გოლით აისახა და „დინამომ“ მორიგი სამი ქულა ჩაინერა.

პული მატჩი ფრედ — 2:2 დასრულდა. გაგაცნობთ სხვა შეხვედრათა შედეგებს: „ივერია“-„კახეთი“ 1:0 „დილა“-„სიონი“ 3:0 „შვედარდენი-1906“-„გურია“ 3:0

სსპოზა მხოლოდ სამი ქულა

ხუთშაბათს, რუსეთის ჩემპიონატში, ორი მეტად პრინციპული მატჩი გაიმართა. ვლადიკავკაზში, ადგილობრივი „სპარტაკი“ მოსკოველ თანაკლუბელებს მასპინძლობდა.

მოსკოველთა საჯარიმოში მცველები ნესების დარღვევით აჩერებენ და ინიშნება თერთმეტმეტრიანი, რომელსაც ზუსტად ასრულებს კასიომოვი.

„ლოკომოტივმა“ წლევანდელ სეზონში ზედიზედ მეათე გამარჯვება იხილა, რაც რუსეთის ჩემპიონატის ახალი რეკორდია.

Table with 7 columns: მ.წ., თ., მ., ფ., წ., ბ., ქ. and rows for teams like სპარტაკ-ალანია (ვლ), ლოკომოტივი, სპარტაკი (მ), ტორპედო, ცსკა

სპორტული კალენდრისათვის

მოსკოვის სასტუმრო „პენტაში“ გუშინ გაიმართა გერმანიისა და რუსეთის ნაკრებებს შორის დღეის თასის გათამაშების ნახევარფინალური შეხვედრების წილისყრა.

ლეთისმშობლობის პრინციპის ნახევარფინალურ შეხვედრებში გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში, სადაც ესპანეთის ნაკრებმა არგენტინელ კოლეგებს უმასპინძლა.

„იუვენტუსის“ სერბმა ნახევარმცველმა ვლადიმერ იუგოვიჩმა იტალიის ჩემპიონატის მატჩში „ვიჩენცას“ წინააღმდეგ მიიღო ტრავმა და „იუვენტუსს“ ნოემბრამდე გამოეთიშა.

„უიმბლდონის“ ნახევარმცველმა ვინი ჯოუნზმა (რომელიც ინგლისში ყველაზე უხვად ფეხბურთულად არის ცნობილი), ამჯერად შეწყალება მიიღო.

გერმანიის თასის გათამაშების მეორე წრეში გაირკვა, რომ 1996 წ. თასის ახალი მფლობელი ეყოლება. ლევერკუზენის „ბაიერმა“ 2:0 დაამარცხა თასის ამჟამინდელი მფლობელი მიონხენგლადახის „ბორუსია“ და მესამე წრეში გაივლია.



ოთარ კაკანაძის გახსენება

გახსენება, როგორც მძიმე და ტკივილიანი სიტყვაა, მით უფრო, როცა სიცოცხლისა და სიკეთისთვის გაჩენილ ადამიანზეა თქმული.

სამი წლის წინ გამოვეთხოვეთ ცრემლით და გოდებით. ამბობენ, დრო ყველაფერს მკურნალობს, მაგრამ იმ დღე მწუხარებას, რომელიც შენმა უდროოდ წახვამამ მოგვყენა, ვერავითარი დრო ვერ განკურნავს.

მთელი შენი ცხოვრება სათნოებას, სიკეთეს, უპრეტენზიო ერთგულებას შესწირე და მის სანაცვლოდ არაფერს ითხოვედი.

ძალიან გვიჭირს უშენოდ, ყველაფერ დაგეძებთ, გედლოდებით და რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად გვტკივა გული. შენ საშუალო ტკივილად დარჩები ჩვენთვის, შენი სვეტაშვარტული დედისთვის, მეუღლისა და შვილებისთვის.

შენი შეგობრები შენს ოჯახს ურადღებებს და მოფერებებს არ აკლბენ, შენი გახსენების დღესაც მოვლენ შენს საუფავზე და ცრემლს დაგაფრქვევენ.

იძინე მშვიდად, ჩვენი საყვარელი ოთარ, მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა.

მეუღლე რუსუდანი, შვილები გოგა და თამუნა



მეუღლე ლამარა დეკანოსიძე, შვილები ნინო, გია, მათა, შვილიშვილები სოფიკო, გოგა, მარიტა, ნანუკა, გვანცა, ლუკა, ბონდოჩისიძეები ოთარ არჩევანიძე, მამუკა ტაბატაძე, რძალი ლიკა ენუქიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თენგიზ სპვირიანიძის ძმ ბანძალეიშვილი

პანაშვილი: 22, 23 სექტემბერს, 5 სთ-ზე; დაკრძალვა: 24 სექტემბერს, 8 სთ-ზე; მისამართი: თბილისი, ზესტაფონის ქ.ნ, ბ.34.


ტესტი

ხართ თუ არა კეთილი?

1. ფული გაგინდათ. შეგიძლიათ სულ დახარჯოთ და საჩუქრები გაუყუროთ მეგობრებს?
2. მეგობარი გაქირვების შესახებ გიამბობთ — აგრძნობინებთ, რომ არ გაინტერესებთ, ასეც რომ არ იყოს?
3. თუ თქვენი პარტნიორი ცუდად თამაშობს ჭადრაკს ან სხვა რომელიმე თამაშს, თუ მოაგებინებთ, რომ ასიამოვნოთ?
4. ხშირად ეუბნებით ადამიანებს სასიამოვნო სიტყვებს, რომ ხასიათი გამოუყუროთ?
5. გიყვართ მწარე ხუმრობა?
6. გულდრძობ ხართ?
7. შეძლებთ მოთმინებით მოისმინოთ ის, რაც სრულებით არ გაინტერესებთ?
8. თქვენს უნარს თუ იყენებთ პრაქტიკაში?
9. როცა აგებთ, ხომ არ წყვეტთ თამაშს?
10. თუ დარწმუნებული ხართ საკუთარ სიმართლეში, უარს ხომ არ აცხადებთ ოპონენტის არგუმენტების მოსმენაზე?
11. სიამოვნებით ასრულებთ თხოვნებს?
12. შეგიძლიათ გარშემო-

- მყოფთა გასართობად ვინმეს დასცინოთ?
- ახლა ერთი ქულა დაიწერეთ, თუ შეძლებთ კითხვებს დადებითად უპასუხებთ: 1, 3, 4, 7, 11 და თუ უარყოფითად უპასუხებთ 2, 5, 6, 8, 9, 10, 12.
- 8 ქულაზე მეტი — თქვენ თავაზიანად ეპყრობით ადამიანებს. ამიტომ გარშემომყოფთ უყვარხართ. ალბათ, ბევრი მეგობარი გყავთ. ერთი გაფრთხილება: ნუ ეცდებით ყველასთან კარგი ურთიერთობა იქონიოთ — ყველას თავს ვერ მოაწონებთ, არც გამოგადგებათ.
- 4-8 ქულა — ხან კეთილი ხართ, ხან — არა. ყველასთან კეთილი არა ხართ. ზოგისთვის წყალში გადავარდებით, მაგრამ სხვებისთვის თქვენთან ურთიერთობა აუტანელია. ეს არც ისე ცუდია. მაგრამ, ალბათ, უნდა ეცადოთ, ყველასთან ერთნაირი იყოთ, რომ ვინმეს არ აწყენინოთ.
- 4 ქულაზე ნაკლები — თქვენთან ურთიერთობა ზოგჯერ წამებაა ყველაზე ახლო ადამიანებისთვისაც კი. უფრო კეთილგანწყობილი იყავით და მეტი მეგობარი გეყოლებათ. მეგობრობას ხომ კეთილი ურთიერთობა სჭირდება.

კროსვორდი



პირველი:

თარგუმად: 2. ქართული ხალხური სიმღერა; 6. კედლის, ხალიჩის ან პარკეტის არშია, ბორდიური; 7. ღამის დარაჯი; 8. იმპერატორის ტიტული ძველ რომში; 10. მხატვრული ნაწარმოების ნაწყვეტი, რომელსაც მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს; 13. ამერიკელი კინოვარსკვლავი ქალი, მთავარი როლის შემსრულებელი ფილმში „ომი და მშვიდობა“; 14. ვაჭრობა; 15. ძველი აღმოსავლეთი „დიდი წინასწარმეტყველი“; 18. იტალიელი კინორეჟისორი; 22. გამოქვაბული ზღვის ფლატოვან ნაპირზე; 23. მუსიკალური საკრავი; 24. უსკოტის რომანი.

მეორე: 1. ცხელი ალკოჰოლიური სასმელი; 2. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული მეფის რუსეთში; 3. მონათლო ან ჭრელი ძვირფასი ქვა; 4. კომპიუტერი საშუალო დანარჩევი; 5. ევროპის სახელმწიფოს დედაქალაქი; 8. პატარა ჩაქუჩი; 9. მონოპოლისტური გაერთიანების ერთ-ერთი უმარტივესი სახე; 11. სიტყვიერი ხელოვნების ერთ-ერთი ფორმა; 12. სოფელი მარნეულის რაიონში; 16. ქართული ანსამბლი; 17. მღვდელმთავრის ძალადი თავსარქმელი, გვირგვინი; 19. ამერიკელი კინოვარსკვლავი ქალი; 20. მიწის საზომი ერთეული ინგლისსა და ჩრ.ამერიკაში; 21. იაპონელი მთამსვლელი ქალი, ფომოლუნგმანს პირველი დამპყრობი.

შეადგინა
მაია ინაშვამა

საქართველოს კოზაპოლიტის ისტორიის კონსპექტი

ბუღალტრიული სამსახურის უფროსის

ვწერ ერთიანი მოძრაობის აუტანელი ლანძღვა-გინების პასუხად, ვუძღვნი თავისუფლებისთვის დაღუპულ ქართველებს; ცოცხლებს კი ვაფრთხილებ: თუ ყველა ჩურის „ბოლშევიკებს“ ისევე ავირჩევთ, მოკლე ხანში ერთმანეთს შევხვებით — ან ციხეში, ან საიჭიოში.

სულ იყო მისი ბიოგრაფია ქართული სისხლით გაფრეხული, ილიას მოკვლით დანყვბული და ფერ, 9 აპრილზე გაჩერებული. ბოლშევიკების სალოცავები გვაძებნენ არი დაშენებული, მღვდლების, მწერლების და თავადების თავის ქალებით დაშვებულნი. გაჩენის დღიდან უსამშობლო, სამარის მთხრელი ერის და ენის, განათლების და ნიჭის მოძულე, მოძულე ჩენი ვიშის და გენის. ამათთან ერთად შემოაბიჯა ოცდაერთ ნელში რუსულმა ჩქემა და მეფერთმეტე არმიის გარდა უღიჭა ქართველი, ქართულმა „ჩეკამ“. ვერ მგუებელი პატიოსნობა, მოზროვნება, მოამბავთა, მკვლევების სროვა, ვიწვ კარიერა უბინჭურესი წესით აკეთა. „ოცდაოთხი“ და „ოცდაჩვიდმეტი“, რა დავითვალო, რომელი ერთი? გვარამთხები ეკლესიები და წართმეული ერისთვის ღმერთი. ამით უღელში რაც თავს გადააკვდა, გუშინ რომ მოხდა არ გეგონება, რა ექნა ჩვენ ხალხს მესხიერება, რამ დაუბნელა აგრე გონება. რამ დაავინყა მღიჯან-ფაშები (არა ხელფასით გასუქებული), დაცლილი მთები და ჩენი მიწა — ქრთამში და „სკამში“ „გაჩუქებული“ რამ დაავინყათ! ხალხის ნაოფლარს შესულები, როგორც ღორები — ინსტრუქტორები, რევიზორები, თავმჯდომარეები-დირექტორები; „მოლევანები“ — ამლოკელები „ცვკას“ მდივნების ნაფეხურების, სოხვა, კანკალი, სისინ-თეატალური და ტყე დამსმენთა ფართე ყურების. რამ დაავინყათ! ვინ შემოიღო უმოსამართლოდ ნავანის დახლა, რომ კომპარტიის „პროდუქტი“ გახლავთ,

რა სიძულელიც მძვინვარებს ახლა. რამ დაავინყათ! აპრილის ღამეს ვინ დაპატივა რუსების წარი? „ინტელიგენტმა“ კომუნისტებმა „ლევიტისურად“ ვის მისცეს ბარი. და ღღეს ამ მართლა ნაძირალების მიტომ არა აქვს ურაცვობას ზღვარი, რომ დაეინდეთ და არ შეაფარეთ თვალბზე ყველას სახელ და გვარი (ღღღღ რამ არი „გაურკვეველი“ ვის „ანერია“ ის ხისხლის ღვარი). აგერ არიან! ერთმა ნაწილმა „მიმართულება“ იცვალა უცხად, ჯალათები და შექრთაძვები „ერისკაცებად“ გადაქცივნენ „ურცხვად-დანარჩენები“ „პარტკრილობებზე“ ბროს აყლაპებენ შესარყვე „აბებს“, „თანასწორობის“, შაქარ-კარაქის, სოციალური სამოთხის ამბებს. ყოვლისკადრების პრინციპი არი ამ უწმინდური იღვის არსი, დამსხობის შიშით გაითამაშეს იმ „არჩენების“ ნაგების ფარსი. მაგათმა ტელე-რადიო-პრესამ „დაუთმო“ ტახტი სუკის „ნახედას“, გამოატყინა იმდენად მასა, რომ ბჭარი ღღესაც იმავე „გზაზე“ დგას. აქ არის აქა! „ნიოფი სექტა“ და თავის ნებით არ ნავა არსად, ხელახლა გასკდა და კვლავ იღვრება, ლინინ-სტალინურ ფეკალურ მასად. სიბილწით სახე რეზერვუარი ვერაც სახევა გადაუცვლელი, ქრისტეს მოძულე ათვისტები სკამებზე სხედან გადაუსმელი, კრემლის ბიგები „ბოლშევიკები“, გადაცმული და გადაუცმელი. ფიქტიურია! „სხვადასხვა სორტის“ ბოლშევიკების „განქორწინება“, მაგათ საერთო ნაბიჭვარი ყავთ და უნდათ მისი ალორმინება. გამოუამბევოთ! ვიდრე ხელახლა კვლავ სათავეში მოექცივიან, რადგან ეგენი, ჩვენ რომ ვამცივიოთ, ნალდად ისე არ მოგავამცივიოთ. აღარ ავუშვათ! რომ არ დამოკლდეს თავისუფლების დღე წარმავალი, თორემ ვაი ჩვენ! თუ ფხვზე ადგა ეს გალახული ქვეწარმავალი.

რუსლან მიჰაბერიძე

რას ფიქრობან თქვენზე?

- ამ ტესტით შეგიძლიათ შეამოწმოთ, ემთხვევა თუ არა გარშემომყოფთა აზრი თქვენს შესახებ თქვენსავით თვითშეფასებას. შესაძლოა, რაიმე ახალი შეიტყუოთ საკუთარ თავზე.
1. რა მოსაზრებით ირჩევთ მალახიში სამკაულს, კოსმეტიკას, პარფიუმერას?
 - ა) ფასის მიხედვით: რაც უფრო ძვირია, მით უკეთესია
 - ბ) მხოლოდ გემოვნებით, სურვილით
 3. მეგობრის რჩევით
 2. რა საჩუქარი გაგახარებთ ქმრის, საქმროს ან მეგობარი ჩამაკაცისგან?
 - ა) ღამაში თაბაკული
 - ბ) ძვირფასი სუნამო
 - გ) რაიმე ორიგინალური წერილობა
 3. საშუალება მოგვცათ, გარდერობი განახლოთ. რა პრინციპით ამოირჩევთ ტანსაცმელს?
 - ა) თქვენი საყვარელი ფერის მიხედვით
 - ბ) მხოლოდ ქვედაზე მოდურს
 - გ) რაც გიხდებათ
 - 3.
 4. არტელეგის შექმნილია კაბა მხადაა, მაგრამ, ხამწყუხართ. არ გახდებათ, რაიმე მოიქცევით?
 - ა) შეეცდებით გადააკეთოთ
 - ბ) კარადანს შენასაკით და გადაიჭკვით
 - 4.
 - გ) ნაცნობს აჩუქებთ
 - 2.
 5. თქვენს მუდმივ წეს-